ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-21, 1493-19

"13" 08 2019 წ.

დადგენილება №ც30-19
სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

13.08.2019წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 6 აგვისტოს №4-1/დ1421-19 №000531 დადგენილებით, **შ.პ.ს. "ელზურო"** (ს/კ №402004353; დირექტორი - ნონა მაჭარაშვილი; მარინე ტლაშაძე; მის: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. 63) დაჯარიმდა 15000 (თხუთმეტიათასი) ლარით, ქ. თბილისში, სექტორი კრწანისი, ქუჩა გორგასალი №63-ში (ს/კ №01.18.06.005.056) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული–სავაჭრო ობიექტები, ოფისები) შენობა №2–ის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2673192 28.06.2016წ. (№2697469 07.07.2016წ.) ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობისთვის.

ზემოაღნიშნულ დადგენილებაში ადგილი აქვს ხარვეზს, კერძოდ არასწორად მიეთითა №000531 შემოწმების აქტისა და №000531 დადგენილების თარიღი: ნაცვლად 2019 წლის 6 აგვისტოს №000531 შემოწმების აქტისა შეცდომით დაფიქსირდა 2018 წლის 6 აგვისტოს №000531 შემოწმების აქტი, ასევე, ნაცვლად 2019 წლის 6 აგვისტოს №000531 დადგენილებისა არასწორად დაფიქსირდა 2018 წლის 6 აგვისტოს №000531 დადგენილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ხარვეზით გამოცემის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ აქტში გაასწოროს აღნიშნული ხარვეზი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად,

დავადგინე:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 6 აგვისტოს №4-1/დ1421-19 №000531 დადგენილებაში №000531 შემოწმების აქტის თარიღად დაფიქსირდეს 2019 წლის 6 აგვისტო, ასევე №000531 დადგენილების თარიღად მიეთითოს 2019 წლის 6 აგვისტო.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2. დადგენილება №ც30-19 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე" ძალაშია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 6 აგვისტოს №4-1/დ1421-19 №000531 დადგენილებასთან ერთად;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-21/1421-19

"06" 08 2019 წ.

დადგენილება №000531
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

06.08.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ გიორგი გეჯაძემ განვიხილე 2018 წლის 6 აგვისტოს №000531 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **შ.პ.ს. "ელზურო"-ის** (ს/კ №402004353; დირექტორი - ნონა მაჭარაშვილი; მარინე ტლაშაძე; მის: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. 63) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, სექტორი კრწანისი, ქუჩა გორგასალი №63-ში (ს/კ №01.18.06.005.056), შ.პ.ს. "ელზურო"-ის მიერ, განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული–სავაჭრო ობიექტები, ოფისები) შენობა №2–ის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2673192 28.06.2016წ. (№2697469 07.07.2016წ.) ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: **„1-13" ფასადი:** დასასრულებელია ტერასების გადასახური კონსტრუქციის მოწყობა. -0.30 ნიშნულზე, „8-9" მონაკვეთში არ არის მოწყობილია ავტოფარეხის კარი. +6.60 ნიშნულზე, ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. „13-1" ფასადი: -0.30 ნიშნულის ქვევით, დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები, ტექნიკური დანიშნულების ფართები და ღიობები. -0.30 ნიშნულზე, „13-10" მონაკვეთში გახსნილი სივრცის ნაცვლად, მოწყობილია კედელი. +9.20 ნიშნულზე, „12-10" მონაკვეთში ვიტრაჟებზე არ არის მოწყობილი მოაჯირები. "10-9" მონაკვეთში„ „10" ღერძთან შესამინია ღიობები. „ი-ო" ფასადი: +6.60 ნიშნულიდან, +13.20 ნიშნულის ჩათვლით, აივნებზე დამატებით მოწყობილია კაპიტალურად მოწყობილი ტიხრები. -6.00 და -3.00 ნიშნულებზე, „თ*"- „ო" ღერძთან, შეცვლილია კედლის ფორმა. „4-7" -„დ-ზ" მონაკვეთში აუთვისებელ ფართში დამატებულია კოლონები და რიგელები, ასევე მოწყობილია კარების ღიობები. ±0.00 ნიშნულზე, „ო" ღერძის გარეთ „8-13" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ბეტონის პანდუსი. „12-13" მონაკვეთში, „ო" ღერძთან გაუქმებულია პანდუსი. „9" ღერძთან, „მ-ნ" მონაკვეთში გაუქმებულია კიბის უჯრედში შესასვლელი კარი.

„13” ღერძთან, „ი-ო” მონაკვეთში შეცვლილია ფასადის მოწყობა, „ი” და „ო” ღერძებთან გაუქმებულია კედლები, არ არის მოწყობილი ბაქანი და კიბე, ასევე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი, გაბარიტი და მდებარეობა, მოწყობილია კოლონების შიდა მხარეს. მავე ნიშნულზე და ზევით, „ლ” ღერძთან, „6-7” მონაკვეთში კიბის უჯრედის გარე კედელს ადგილი აქვს მონაცვლებული და შეცვლილია კედლის ფორმა. „1-2” -„ა-ე” მონაკვეთში გაზრდილია საცურაო აუზის ქვეშ ფართის გაბარიტი. „ბ” ღერძთან, „1-4” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯრის ღიობები. +3.30 ნიშნულზე, „1-2” -„ა-ე” მონაკვეთში გაზრდილია საცურაო აუზის გაბარიტი. „5-7” - „დ-ზ” მონაკვეთში არ არის მოწყობილი გარე საცურაო აუზი, ასევე არ არის კეთილმოწყობილი შიდა ეზო. „მ” ღერძთან, „10-11” მონაკვეთში, დამატებულია კარის ღიობი და კიბე. +6.60 ნიშნულზე, „13” ღერძის გარეთ, „ი-ო” მონაკვეთში შემცირებულია აივნის სიგანე. +13.20 ნიშნულზე, „ო” ღერძთან, „12-13” მონაკვეთში კედელს ადგილი აქვს მონაცვლებული, შემცირებულია აივნის და გაზრდილია შიდა ფართი.ფასადებზე გაუქმებულია ხის მოძრავი ჟალუზები. შეცვლილია მოაჯირების ნახატი. ფასადებზე ფიქსირდება რიგელების და ფილების ნაშვერები. წყალგადამყვანი მილების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს. ნაწილობრივ შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების მდებარეობა, რაოდენობა, სიმაღლე და გაბარიტი. ფასადებზე არ არის მოწყობილია დეკორატიული გამწვანება. შენობის პარაპეტზე დამატებით მოწყობილია მოაჯირი. ნაწილობრივ დასასრულებელია ფასადების მოპირკეთება. შენობაში გაზრდილია კოლონების განივი კვეთის გაბარიტი, შეცვლილია რაოდენობა და ნაწილობრივ ფორმა. ნაწილობრივ შემცირებულია და გაზრდილია კოლონებს შორის მანძილი. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების და კედლების ურთიერთმდებარეობა. დასასრულებელია სადარბაზოების და ტამბურების კეთილმოწყობა, არ არის მოწყობილი კარები. კიბის უჯრედებში, ნაწილობრივ არ არის მოწყობილი კედლები (ტიხრები). ივნების გამყოფი ტიხრების მდებაროება არ შეესაბამება საპროექტოს. „ი” და „ბ” ღერძებთან, „4-10” მონაკვეთში გაზრდილია აივნის ფართი, შიდა ფართის შემცირების ხარჯზე. „ო” ღერძთან, „9-10” მონაკვეთში შეცვლილია აივნის ფორმა და გაბარიტი. არ არის დემონტირებული სამშენებლო ტექნიკური ამწე და ხარაჩოები. პროექტში მონოლითური და ბლოკის კედლები არ არის ნაჩვენები განსხვავებული დაფერვით. ნაწილობრივ შეცვლილია კიბეების საფეხურების რაოდენობა. შეცვლილია და დასასრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა. ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები, კიბეები და ბაქნები. ტერიტორიიდან გასატანია სამშენებლო ნარჩენები. ვერ მოხერხდა ობიექტის სახურავის დათვალიერება.

2019 წლის 6 აგვისტოს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ზ” პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000531 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, მხარის №10/01192031206-17 22.07.2019წ. განცხადებები; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "ელზურო"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა” პუნქტის „ა.გ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, სექტორი კრწანისი, ქუჩა გორგასალი №63-ში (ს/კ №01.18.06.005.056), განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული სავაჭრო ობიექტები, ოფისები) შენობა №2–ის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

სამსახურის №2673192 28.06.2016წ. (№2697469 07.07.2016წ.) ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ელზურო" დაჯარიმდეს 15000 (თხუთმეტიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური კომპლექსი (საცხოვრებელი, კომერციული–სავაჭრო ობიექტები, ოფისები) შენობა №2) მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ელზურო"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ელზურო"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, „დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7);

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ტერაბანკი terabank

საკრედიტო საგადახდო დავალება N 1

თარიღი / Date 13/08/2019

გადამხდელი: შპს ელზურო, 402004353

საიდენტ. კოდი: **402004353**
ანგარიში: **GE70KS0000000360500251**
გადამხდელის ბანკი: სს "ტერაბანკი"
ბანკის კოდი: **TEBAGE22**

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
დასახელება: **შპს ელზურო, 402004353**
საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი: **402004353**

Copy/Copy

მიმღები: **ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ**
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: **300773263**
მიმღები ბანკი/ხაზინა: **ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"**
ბანკის კოდი: **TRESGE22**

გადახდის დანიშნულება: **შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)**
არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო
დამატებითი ინფორმაცია: **06.08.19 წ დადგენილება N 000531 სამშენებლო**
სამართალდარღვევის საქმეზე (ერ.კურსი 2,9173)

ხელმოწერა: _____

თანხა: 15000 GEL

თანხა სიტყვებით
თხუთმეტი ათასი ლარი 00
თეთრი

ბანკის აღნიშვნები
ბანკში შემოსვლის თარიღი:
8/13/2019
შესრულების თარიღი:
8/13/2019
ხელმოწერა: _____

ს.ს "ტერაბანკი"
კრედიტის განყოფილება
საოპერაციო განყოფილება
TEBAGE22 3

შტამპის ადგილი

8/13/2019 351607679 1418

"ვადასტურებ, რომ სრულად ვიცნობ ბანკის ვებგვერდზე www.terabank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების სტანდარტული პირობებს (შემდგომში "პირობები") და ვეთანხმები მათ. ამავდროულად, ვადასტურებ, რომ ბანკს უფლება აქვს პირობებით გათვალისწინებული წესის მიხედვით დაამუშავოს კლიენტის შესახებ პერსონალური ინფორმაცია, მათ შორის, გადასცეს ბანკის ხელთარსებული, როგორც პოზიტიური, ასევე - ნეგატიური ინფორმაცია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს (შემდგომში "ბიუროს") და გაეცნოს ბიუროს მონაცემთა ბაზაში, ასევე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში კლიენტის პერსონალურ მონაცემებს."